საქართველოს საპატრიარქოსთან
არსებული ლომისის წმინდა გიორგის
დედათა და ბავშვთა თავშესაფარი
„კიდევაც დაიზრდებიან“

თბილისი, თამარ და აკაკი პაპავების ქ. 2ა
ტელ: +995 599 795 217
ელ-ფოსტა: kidevats.daizrdebian@yahoo.com

NNLP Lomisa St. George
Shelter of Mothers and Children
"KIDEVATS DAIZRDEBIAN" of the
Patriarchate of Georgia

Tamar and Akaki Papava str.2a, Tbilisi
Tel: +995 599 795 217
E-mail: kidevats.daizrdebian@yahoo.com

მის უდიდებულესობას, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს
ლომისის წმ. გიორის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ დავითის /კემულარია/ და
სქემარქიმანდრიტ იოვანეს /ჯიშკარიანი/

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„ნუ ჩაიდენთ შვილის მკვლელობის საშინელ ცოდვას. - აბორტს. ერის დიდი ტრაგედიაა, რომ თითქმის ყველა ოჯახში, მშობლების ნებით, უმოწყალოდ მოსპობილ მუცლადდებულ ყრმათა სისხლია დაღვრილი და მისი ნაკადი კვლავაც შეუწყვეტლად მოედინება.“

„ჩვენო სულიერო შვილებო, თუ ვინმეს ეკონომიური, ან სხვა მიზეზის გამო გიწევთ უარის თქმა თქვენს სრულიად დაუცველ ყრმაზე, მამაშვილურად გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვათ აბორტზე. შეგახსენებთ, რომ მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ეკლესია შეძლებს მზრუნველობა გაუწიოს თქვენს პატარას, ხოლო თუ მომავალში გექნებათ სურვილი მშობლიური სიყვარულის გამოჩენისა, კვლავაც შეგეძლებათ მისი უკან დაბრუნება.“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
საშობაო ეპისტოლე, 2002 წ.

ჩვენი მონასტრის თავშესაფარი ოფიციალურად არსებობს 2013 წლის 23 აგვისტოდან და წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის წმინდა და დიადი ლოცვა-კურთხევისა და მოწოდების განმახორციელებელ დაწესებულებას, სადაც ხდება სასიკვდილოდ, აბორტისთვის განწირული ბავშვების გადარჩენა და მათი მშობლების მძიმე ცოდვისაგან ხსნა.

გმირული თავგანწირვის გრძნობით აღვსილი ეს დედები რჩებიან ჩვენს მონასტერში და ორსულობის პერიოდში იმყოფებიან მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების ქვეშ.

ამგვარად, დღეისათვის ჩვენს მიერ აბორტისგან გადარჩენილ ბავშვთა რაოდენობა დაახლოებით სამოცს აღწევს! მათგან, ორმოცამდე დედამ, შეურიგდნენ რა ზოგი ბავშვების მამებს და ზოგი თავიანთ მშობლებს, ბედნიერებმა დასტოვეს მონასტერი თავიანთ შვილებთან ერთად.

ხოლო ოცმა მათგანმა, რადგანაც სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, **კონფიდენციალურად, სამღვდელო, საიდუმლო აღსარებით**, თავიანთი შვილები ჩვენს მონასტერს დაუტოვეს აღსაზრდელად. /მეტი სიზუსტისათვის, უნდა ითქვას, რომ რამოდენიმე ბავშვი სხვა ცხოვრებისეული გაჭირვების გამო არის ჩვენთან მოხვედრილი./

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ვინაიდან საპატრიქროს შესაბამისი სტრუქტურები ვერ ახერხებენ ჩვენს დახმარებას, დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ, როგორც საქართველოს მთავრობის მეთაური, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად დიდი ენთუზიაზმით და გულმხურვალებით ჩაერთვებით ჩვენი ქვეყნისთვის ამა საშვილიშვილო საქმეში და გამონახავთ საშუალებებს და სახსრებს ჩვენს დასახმარებლად, რათა წერილის ეპიგრაფად წარმოდგენილი ჩვენი უწმინდესი პატრიაქრის დიადი ლოცვა-კურთხევა კეთილად აღვასრულოთ და მის საღვთო მოწოდებას რეალური ფრთები შევასხათ, ჩვენს საყვარელ სამშობლოს ღირსეული შვილები აღვუზარდოთ და მით უფალი ღმერთი გავახაროთ და ვადიდოთ!!! ამინ!!!

დიდლომისის წმ. გიორგის მონასტრის ძმობის სახელით
წინამძღვარი, არქიმანდრიტი დავითი /კემულარია/
სქემარქიმანდრიტი იოვანე /ჯიშკარიანი/.

1 ოქტომბერი, 2017

საქართველოს საპატრიარქოსთან
არსებული ლომისის წმინდა გიორგის
დედათა და ბავშვთა თავშესაფარი
„კიდევაც დაიზრდებიან“

თბილისი, თამარ და აკაკი პაპავების ქ. 2ა
ტელ: +995 599 795 217
ელ-ფოსტა: kidevats.daizrdebian@yahoo.com

NNLP Lomisa St. George
Shelter of Mothers and Children
"KIDEVATS DAIZRDEBIAN" of the
Patriarchate of Georgia

Tamar and Akaki Papava str.2a, Tbilisi
Tel: +995 599 795 217
E-mail: kidevats.daizrdebian@yahoo.com

„ნუ ჩაიდენთ შვილის მკვლელობის საშინელ ცოდვას, - აბორტს. ერის დიდი ტრაგედიაა, რომ თითქმის ყველა ოჯახში, მშობლების ნებით, უმოწყალოდ მოსპობილ მუცლადღებულ ყრმათა სისხლია დაღვრილი და მისი ნაკადი კვლავაც შეუჩერებლად მოედინება.”

„ჩვენო სულიერო შვილებო, თუ ვინმეს ეკონომიური, ან სხვა მიზეზის გამო გიწევთ უარის თქმა თქვენს სრულიად დაუცველ ყრმაზე. მამაშვილურად გთხოვთ, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვათ აბორტზე. შეგახსენებთ, რომ მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ეკლესია შეძლებს მზრუნველობა გაუწიოს თქვენს პატარას, ხოლო თუ მომავალში გექნებათ სურვილი მშობლიური სიყვარულის გამოჩენისა, კვლავაც შეგეძლებათ მისი უკან დაბრუნება.“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
საშობაო ეპისტოლე, 2002 წელი

“თავშესაფარი” ესე ოფიციალურად არსებობს 2013 წლის 23 აგვისტოდან და გაფორმებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით და შესაბამის საბუთებზე მისი პირადი ხელმოწერით. ის აგრეთვე გაფორმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სრული წესის დაცვით.

ჩვენ, დედა ბარბარე და მონასტრის მთელი ძმობა, როდესაც აღკვეცისას ღმერთის წინაშე მონაზვნობის წმინდა ფიცსა და აღთქმას ვდებდით, რათქმაუნდა ვგულისხმობდით იმას, რომ ყოველივე ამქვეყნიურ საზრუნავს “დავუტოვებდით” და მთელ ჩვენს არსებას სრულად მივუძღვნიდით უზენაეს ღმერთს და შევუდგებოდით მხოლოდ სულიერი სრულყოფის დიად და აღმავალ გზას!

მაგრამ ღმერთმა ამა ყოველივესთან ერთად, უშუალოდ დედა ბარბარეს და გარკვეულწილად ყოველ ჩვენთაგანს, ერთი წმინდა, განსაკუთრებული და ღვთაებრივი საზრუნავი დაგვაკისრა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში:

ამქვეყნიურ ცხოვრებაში, იქმნება ხოლმე ვითარება, როდესაც ახალგაზრდა მანდილოსანი ორსულდება და მას მოკვლის, ან საქვეყნოდ შერცხვენის მუქარით, აძალებენ ნაყოფის მოცილებას, რასაც მრავალი მათგანი შიშის გამო თანხმდება, ხოლო ზოგიერთი, გმირული თავგანწირვის გრძნობით აღვსებული დედა, უარს ამბობს ღმერთისგან ბოძებული შვილის მოცილებაზე და მთელი არსებით ეძებს კეთილ გამოსავალს.

ასეთ შემთხვევაში, ისინი, ღმერთის შეწევნით, ჩვენს მონასტერში ხვდებიან და დედა ბარბარესთან პოულობენ სანდო და საიმედო თავშესაფარს და მთელი ორსულობის პერიოდში იმყოფებიან ჩვენი მეგობარი ექიმების საიმედო,

მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების ქვეშ, და მათსავე კლინიკებში კეთილად მშობიარობენ.

აქვე უნდა ითქვას ერთი უმნიშვნელოვანესი, საღვთო განგებულების შესახებ: რადგანაც ზემოთხსენებული დედები, ასეთი მძიმე განსაცდელის დროს, გმირულ სულისკვეთებას ავლენენ და თავის ბედიღბალს ღმერთს ანდობენ, და უფლის კალთას ამოფარებულები, მონასტრის კედლებში პოულობენ ხსნასა და თავშესაფარს, ამიტომ მათზე მოძალადე ადამიანებზე ღმერთი ზემოქმედებს, რის შედეგადაც ისინი ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ამ მანდილოსნების მიმართ: - ჩვილთა მამები მათზე ქორწინდებიან და ტკბილ და მტკიცე ოჯახებს ქმნიან, - ხოლო ზოგ შემთხვევაში, გოგონების მშობლები პატიობენ მათ ეგრეთწოდებულ შეცდომას და დიდი სიხარულით იღებენ ოჯახებში ღვთისგან ბოძებულ, თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს.

ის დედები კი, რომლებსაც სხვა გამოსავალი არა აქვთ, იძულებული ხდებიან თავიანთი შვილები ჩვენს მონასტერს დაუტოვონ აღსაზრდელად, ხოლო დედა ბარბარე ნამდვილი, დედური გრძნობით აღვსებული, სრულად ტვირთულობს ჩვილი ბავშვის აღზრდის უმძიმეს, ენითაუწერელ, ღვთაებრივ ტვირთს და მათზე სრულიად გადაგებული, დღესა და ღამეს ასწორებს მძიმე, ტიტანურ შრომასა და ჯაფაში.

აქედან გამომდინარე, აბორტისგან გადარჩენილი და შობისთანავე დედა ბარბარეს მშობლიურ კალთას მინდობილი ეს ბავშვები, არიან ჩვენი ნამდვილი, ღვიძლი შვილები, ღმერთისგან და მშობლებისგან ჩვენთვის საიდუმლოდ ჩაბარებულები. და ცხადია და ბუნებრივი, რომ ისინი ზრდასრული ასაკის მიღწევის შემდეგაც რჩებიან ჩვენი მონასტრის და დედა ბარბარეს მშობლიური მფარველობის ქვეშ, რაც სხვა ყველაფერთან ერთად გულისხმობს მათ ბედნიერებაზე, სწავლა-განათლებაზე, დაოჯახებაზე და სახლ-კარით უზრუნველყოფაზე ზრუნვას.

აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ ახალშობილთა უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, გასაგები მიზეზების გამო, მეტად მძიმე და კრიტიკულია ხოლმე, და რომ არა დედა ბარბარეს გულის სითბო, სისათუთე და თავგანწირვა, ისინი ახლა არამც თუ ასეთი კისკასები, ჯანმრთელები და ბედნიერები, არამედ ცოცხლებიც ვერ იქნებოდნენ...

ცხადია, რომ ამდენი ბავშვის მოვლა-პატრონობისთვის, მხოლოდ დედა ბარბარეს გულმხურვალება და თავგანწირვა საკმარისი ვერ იქნებოდა, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ ამა წუთისოფელში მატერიალური სახსრებისა და ხელშეწყობის გარეშე, სიცოცხლე, არსებობა და განვითარება თითქმის შეუძლებელია!...

აქედან გამომდინარე, იძულებული ვართ ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: იმის გამო, რომ ჩვენი ეგრეთწოდებული თავშესაფარი ჭეშმარიტად ღვთაებრივი, არაჩვეულებრივი და უნიკალურია, ანუ წარმოადგენს სასიკვდილოდ, აბორტისთვის განწირული სიცოცხლის ხსნისა და გადარჩენის, პატრიარქისეული ლოცვა-კურთხევის აღმასრულებელ და განმახორციელებელ დაწესებულებას, - იგი როგორც ჩანს, დღეს არსებული კანონების ჩარჩოებში ვერ თავსდება და ამიტომაც, სამწუხაროდ, სახელმწიფოს და საპატრიარქოს შესაბამისი სტრუქტურები, ჯერჯერობით ჩვენს დახმარებას ვერ ახერხებენ.

ჩვენ მონაზვნები ვართ და ღმერთმა იცის, რომ ზემოთქმულს არავის მიმართ სასაყვედუროდ და საჩივრის სახით არ ვამბობთ, არამედ, ბავშვებზე საავალდებულო,

საღვთო ზრუნვა გვაიძულებს მოვახდინოთ ფაქტობრივი, რეალური მდგომარეობის კონსტატაცია!

ბუნებრივია ისმის კითხვა: მაშ, რითი ვარსებობთ?! რა სახსრებით ვზრდით ამდენ ღვთის მიერ ბოძებულ შვილს?!... ვპასუხობთ: ჭეშმარიტად, ღვთის საოინო, უპატიოსნესი და გულანთებული ადამიანების უანგარო გვერდში დგომითა და შეწევნით, რომლებსაც უფალი გვიგზავნის! ისინი ამა კეთილშობილურ ღვაწლს ეწევიან არა მათი სახელების აფიშირებისთვის, არამედ ღვთის გულისათვის და საკუთარი სულების სახსნელად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აწ გარდაცვალებული ქალბატონის, თამარ ფიფიას საღვთო დახმარება, რომელმაც ჩვენი ბავშვებისთვის თბილისის ზღვის სიახლოვეს მიწის ნაკვეთი შეიძინა და საცხოვრებელი სახლი აგვიშენა.

მაგრამ, ბავშვები სწრაფად იზრდებიან და დღის წესრიგში დგება მათი საცხოვრებელი პირობების პერმანენტული გაფართოება-გაუმჯობესება. აუცილებელი ხდება მათთვის დამატებითი პროფესიონალი აღმზრდელ-მასწავლებლების დაქირავება, და სხვა ისეთი საჭირო პირობების შექმნა, რომელიც მხოლოდ ბავშვთა აღზრდის კომპეტენტური სპეციალისტებისთვისაა ცნობილი.

დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მთავრობა გულთან მიიტანს ჩვენს მდგომარეობას და დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვება ჩვენი ქვეყნისთვის ამა საშვილიშვილო საქმეში და გამონახავს საშუალებებს და სახსრებს ჩვენს დასახმარებლად, რათა წერილის ეპიგრაფად წარმოდგენილი ჩვენი უწმინდესი პატრიარქის დიადი ლოცვა-კურთხევა კეთილად აღვასრულოთ და მის საღვთო მოწოდებას რეალური ფრთები შევასხათ, ჩვენს საყვარელ სამშობლოს ღირსეული შვილები აღვუზარდოთ და მით უფალი ღმერთი გავახაროთ და ვადიდოთ!!! ამინ!!!

დიდლომისის წმ. გიორგის მონასტრის ძმობის სახელით,

წინამძღვარი, არქიმანდრიტი დავითი /ცემულაშვილი/,

სქემარქიმანდრიტი იოვანე /ჯიშკარიანი/